გლეხებო, ყველა ძალით ხელი შეუწყეთ, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ კ. პ. (ბ) სამხრ. და ქვ. კომიტეტების და საქ. ასკის ორგანო

ხელმოწერის ფასი: ერთ თვეზე—1 მან. 50 კაპ., ექვს თვეზე—9 მან., ცალკე ნომერი 15 კაპ.

ხელმოწერა მიიღება—სტამბაში—14—16, რედ. მოთხოვნილებით—33—12, საბუღალტერიო 19—58, ტელ. კანტორისა—2—31.

შაბათი, 3 ივნისი 1933 წ. № 126 (3682)

ორგანიზაციულად ჩავატაროთ თივის აღება

სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი გაშლა - განვითარების საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ჯგუფის გამრავლების და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი საკვები რესურსების მაქსიმალურ შობილიზაციას. მტკიცე საკვები ბაზის შექმნის გარეშე წარმატებული პირუტყვის ზრდა-განვითარების გაუმჯობესება და იმ ზანის თავიდან აცილება, რომელსაც ნედლეულობის რაიონებს აყენებს სუსხიანი ზამთარი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. მილებულია მთელი რიგი ღონისძიებები ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად, გაიზარდა ნათესი ბალახეულობის და სასილოსე კულტურების ფართობი, გადიდდა კონცენტრირებული საკვების ფონდები და შეტანილ იქნა მტკიცე გეგმიანობა საკვები რესურსების მომარაგების, განაწილების და მომჭირნეობით ხარჯვის დარგში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პირუტყვისათვის ადგილობრივი საკვები რესურსების მობილიზაციის საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დეფექტები, რომელსაც იწვევს თივის დაწნული ცუდი ორგანიზაცია. გასულ წელს მაგალითად იმის გამო, რომ თივის აღება დროულად და გეგმიანად არ ჩატარდა, მთელ რიგ რაიონებში თივის მოსავალი ერთ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებულ ვარაუდთან შედარებით სანახევროდ შემცირდა.

ეს ცდგომარეობა გვავალებს მივილოთ ყველა ზომები თივის აღებისა და დამზადების იმ კალენდარულ ვადებში დასამთავრებლად, რომელიც დაწესებულია სადირექტივო ორგანოების მიერ.

საქართველოს მიწსახკომის გეგმით, თივის აღება 1933 წელს უნდა ჩატარდეს 190.000 ჰექტარზე. ამ ფართობზე თივის აღება მოითხოვს ძალ და ცწორ განაწილებას, მანქანა-იარაღების რაციონალურად გამოყენებას და ამ საქმისათვის კოლმეურნეთა და ღარიბ, საშუალო გლეხთა მასების ენერგიული მობილიზაციას. უმნე რველესად ყოველივე საჭიროა თივის დაბადების გეგმების დაყვანა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებამდე, ინდივიდუალურ გლეხებამდე და თივის დამზადების მტკიცე დავალების მიცემა კულაკურ - შეძლებულ ელემენტებისათვის. ამ გეგმის დაყვანას წინ უნდა უძღოდეს მასიური ახსნა-განმარტებითი კამპანია, იმ პირობების, შეღავათების და უპირატესობების გასარკვევად, რომელთაც მთავრობა ანიჭებს თივის დამამზადებელ მეურნეობებს.

თივის აღების კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სათიბი მანქანების და თივის აღებისათვის საჭირო სხვა ინვენტარის შომარაგებას და შეკეთებას. როგორც ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, ამ საქმეს დღემდე არ ექცევა სათანადო ყურადღება. განსაკუთრებით ცუდადაა საქმე დიდი ჩამორჩენა სათიბი მანქანების რემონტის დარგში. **ახალქალაქის** რაიონს, რომელიც საქართველოში თივის დამამზადებელ ძირითად რაიონად ითვლება, 30 მაისისათვის არ ჰქონდა დაწყებული სათიბი მანქანების შეკეთება. **წნორისა და ლაგოდეხის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს 72 სათიბი მანქანიდან დღემდე შეკეთებული აქვთ მხოლოდ 23.** სათიბი მანქანების და თივის აღებისათვის სხვა ინვენტარის წესრიგში მოყვანას დღემდე არ შესდგომიან **აგარის, ყარაიას და ბორჩალოს** სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.

ჩვენ არ გვაქვს შეკამებული ცნობები თივის ასლები მანქანა - იარაღების შეკეთების მიმდინარეობის შესახებ კოლმეურნეობებში. მაგრამ როგორც ცალკე რაიონებიდან და კოლმეურნეობებიდან მიღებული ცნობებიდან სჩანს, აქ მხრივ არც კოლმეურნეობებშია სახარბიელო მდგომარეობა. თივის აღებისათვის მზადებას დღემდე არ შესდგომიან მაგალითად, სოფ. ეზოსელის (ცალკიელის რაიონი) სურამის (სტალინისის რაიონი) და სართიჭალის (გარეკახეთის რაიონი) კოლმეურნეობები. შედარებით უკეთ მომზადებულნი ხვდებიან თივის აღებას საბჭოთა მეურნეობები. ასე, მაგალითად, შირაქის საბჭოთა მეურნეობა სავსებით მზადაა თივის აღების დასაწყებად.

ადგილობრივ პარტიულმა, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა ეხლავე უნდა მიიღონ სასწრაფო და გადამჭრელი ზომები თივის აღების ინვენტარის წესრიგში მოსაყვანად. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-იარაღების შეკეთებასთან ერთად საგანგებო - სატრაქტორო სადგურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მომრთველ ერთპიროვნულ მეურნეთა ინვენტარის შეკეთებასაც. ამ საქმეში ერთპიროვნულ მეურნეებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ კოლმეურნეობებმა.

თივის დამამზადებელი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოთიბული თივის დაბულებას (ზვინებად დადმას) და თივის დაშორებული რაიონებიდან პირუტყვის სამყოფელ ადგილამდე მიტანას. სადირექტივო ორგანოების დავალების თანახმად, დაშორებული პუნქტებიდან თივის გამოსაზიდად დაწესებულია 1-ლ ოქტომბერი. ეს ვადა მტკიცედ უნდა იქნას დაცული ყველა რაიონებისა და იმ ორგანიზაციების მიერ, რომელნიც თივას ამზადებენ.

სუსხიანი ზამთრის დროს ჩვენში განსაკუთრებით ზიანდება ცხვარი. ეს ხდება უმთავრესად იმიტომ, რომ ამ უმძიმეს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა საკვების ხელუხლებელი ძირაგის შექმნას ცხვრისათვის. მომდინარე წელს თივის დამზადების რესპუბლიკანური გეგმით გათვალისწინებულია **შირაქში** თივის დასამზადებელი ფონდის შექმნა. „სამტრესტს“ დავალებული აქვს „ელდარისა“ და „უდაბნოს“ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობისათვის დამზადოს 25.000 ცენტნერი თივა. მეცხოველეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა და ინდივიდუალურ მეურნეობათა საჭიროებისათვის კი უნდა დამზადდეს 47.000 ცენტნერი. თივის ეს მარაგი სუსხიანი ზამთრის პირობებში სავსებით უზრუნველყოფს საკვებით მეცხვარეობის მოთხოვნილებას. დაძაბუნებელი ორგანიზაციების და განსაკუთრებით **სიღნაღის** ხელმძღვანელი ორგანიზაციების ვალია, ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყონ მეცხვარეობისათვის ხელუხლებელი საკვები მარაგის შექმნა ზამთრის საჭიროებისათვის.

თივის დამამზადებელი ორგანიზაციების **მთელი ყურადღება უნდა მიექცეს თივის დანაკარგების გარეშე აღებას და მისი მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.** ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა შეფასებული იქნება არა მარტო იმის მიხედვით, თუ რამდენ ჰექტარზე ჩაატარებენ თივის აღებას, არამედ უმთავრესად იმის მიხედვით, თუ რამდენ ცენტნერ თივას აიღებენ თვითეული ჰექტარიდან.

თივის აღების დროულად და გეგმიანად აღება ჩვენ საშუალებას მოგვცემს საკვების მხრივ ადგილობრივი რესურსებით დავაკმაყოფილოთ სოციალისტური მეცხოველეობის მოთხოვნილება. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების განვითარების საქმეში.

ალმოვფხვრათ სამარცხვინო ჩამორჩენა ჩაის პლანტაციების გათოხნაში

„საქ. ჩაი“-ს ცნობებით, 1 ივნისისათვის საქართველოში ჩაის პლანტაციების პირველი გათოხნა ჩატარებული იყო 20.593 ჰექტარზე (გეგმის — 62,2 პროც.). აქედან **საბჭოთა მეურნეობებში** — 3.621,5 ჰექტ. (41,7 პროც.), კოლმეურნეობებში— 16971,5 ჰექტ. (გეგმის — 69,5 პროც.).

ცალკე რაიონების მიხედვით გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა: **ბათუმის** რაიონის საბჭოთა მეურნეობებში პირველი თოხნა ჩატარებული იყო 161,6 ჰექტარზე (74,1 პროც.), კოლმეურნეობებში — 620 ჰექტ. (გეგმის — 65,1 პროც.); **ქობულეთის** რაიონის საბჭოთა მეურნეობებში — 1008,5 ჰექტ. (69,3), კოლმეურნეობებში — 16250 ჰექტ. (98,1); **გალის** რაიონის საბჭოთა მეურნ. 546,2 ჰექტ. (56,6 პროც.), კოლმეურნეობებში — 1672 ჰექტ. (75,-); **ქობულეთის** რაიონის კოლმეურნეობებში — 900 ჰექტ. (70,5 პროც.); **ოზურგეთის** რაიონის საბჭოთა მეურნეობებში — 504,4 ჰექტ. (26,8), კოლმეურნეობებში — 843 ჰექტ. (გეგმის — 17,7 პროც.); **ჩოხატაურის** რაიონის კოლმეურნეობებში — 1561 ჰექტ. (93,7); **ლანჩხუთის** რაიონის კოლმეურნეობებში — 2038 ჰექტ. (გეგმის — 82,4 პროც.); **საჩხერედის** რაიონის კოლმეურნეობებში — 380 ჰექტ. (73,5 პროც.); **ხონის** რაიონის საბჭოთა მეურნეობაში — 460 ჰექტ. (100 პროც.), კოლმეურნეობებში—162 ჰექტ. (50,8) **ოკრიბის** რაიონის კოლმეურნეობებში — 664,5 ჰექტ. (95,6); **სენაკის** რაიონის კოლმეურნეობებში — 816 ჰექტ. (გეგმის — 97,9 პროც.); **მარტვილის** რაიონის საბჭოთა მეურნეობაში — 140 ჰექტ. (18,4), კოლმეურნეობებში — 1063 ჰექტარზე (გეგმის — 88,2 პროც.); **ზუგდიდის** რაიონის საბჭოთა მეურ. 587 ჰექტ. (31,8), კოლმ. — 2468 ჰექტ. (83,2); **წალენჯიხის** რაიონის საბჭოთა მეურნ. 212 ჰექტ. (29,5), კოლმეურნეობებში — 981 ჰექტ. (65,5); **ჩხოროწყუს** რაიონის კოლმეურნ. 844 ჰექტ. (100 პროც.); **ხობის** რაიონის კოლმეურნეობებში — 334 ჰექტ. (89,3 პროც.).

ვანის და **ქუთაისის** რაიონებიდან ამავე რიცხვისათვის გათოხნის მიმდინარეობის შესახებ „საქ. ჩაი“-ს ცნობები არ ქონდა მიღებული.

ჩაის პლანტაციების პირველი გათოხნა უნდა დამთავრებულიყო 1 ივნისისათვის. ეს სამუშაო დაწესებულ ვადაზე მხოლოდ **ხონის საბჭოთა მეურნეობებმა და ჩხოროწყუს კოლმეურნეობებმა შეასრულეს.** გათოხნის კამპანია განსაკუთრებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს საბჭოთა მეურნეობებში.

ჩაის რაიონების პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა და სამიწაწყლო-მოქმედო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან სამარცხვინო ჩამორჩენა ჩაის პლანტაციების გათოხნის დარგში და უახლოეს დღეებში უზრუნველყონ ჩაის პლანტაციების გათოხნის დარგში სარეველა ბალახებისაგან.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა 1 ივნისისათვის

მაისში მთელს საქართველოში ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა აკრეფილიყო 900.000 კილოგრამი. „საქ. ჩაი“-ს ცნობებით. 1 ივნისისათვის აკრეფილი იყო 734.891 კილოგრამი, რესპუბლიკანური გეგმა შესრულებულია 81,7 პროცენტით. ცალკე **საფაბრიკო** რაიონების მიხედვით გეგმის შესრულება ასეთ სურათს გვაძლევს:

ფაბრიკები	აკრეფილია კილოგრ.-ში	გეგმის შესრულება %%-ში
სალიბაურის	50.000	72,5
ჩაქვის	83.977	60,3
ბობოყვათის	85203	101,4
ხუცუბანის	40858	122,7
ოზურგეთის	140198	89,9
ნატანების	30386	75
შრომის	48000	72,7
მაღ. ეწერის	40.000	95,3
აცანის	60678	80,9
ნიგვზიანის	40000	111,1
ჩონატაურის	15.415	73,4
უშაფათის	15090	67,1
დიდი-ჟყონის	15.944	88,6
ზუგდიდის	38613	66
გალის	30529	78,3

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს **ხუცუბანის, ნიგვზიანის** და **ბობოყვათის** საფაბრიკო რაიონებმა.

ზემოხსენებული ციფრები მოწმობენ, რომ ჩამორჩენილ რაიონების ორგანიზაციებმა შესაფერისად ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ქალთა და მოზარდთა შრომა კრეფის დაწესებულ ვადაზე დასამთავრებლად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უშაფის ჩაქვის და ზუგდიდის საფაბრიკო რაიონების ჩამორჩენა.

ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გაძოსწორდეს. ჩაის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა დაიმახსოვრონ, რომ მწვანე ფოთლის დაგვიანებით მოკრეფა უარყოფითად მოქმედებს ჩაის ხარისხზე და ამრიგად საფრთხეს უქმნის მოსავლიანობის გადიდებას.

ბეზენჩუკის გამოცდილებათა გადმოტანის საფუძველზე კოლმ. „განთიადმა“ მიაღწია საგრძნობ წარმატებებს

ჩაქვი, 31 მაისი. კოლმეურნეობა „განთიადმა“ (ქობულეთის რაიონი) ბეზენჩუკში გაგზავნა თავისი დელეგატი გამოცდილებათა გადმოსატანად. გაგზავნილმა დელეგატმა ჩამოიტანა ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა მდიდარი გამოცდილება. ამ გამოცდილებათა უშუალოდ კოლმეურნეობებში გადატანით კოლმეურნეობამ მიაღწია საგრძნობ წარმატებებს საგაზაფხულო თესვის ფრონტზე. ხსენებულ კოლმეურნეობაში **ჩაი**—წაბყვანი კულტურაა. ამჟამად ჩაის უკავია 58 ჰექტ. გერანს 12 ჰექტ., მახდარინს—8 ჰექტ., პოსტანს—3 ჰექტარი, ბამბუკს—1,2 ჰექტ. სანერგეს—0,5 ჰექტ.

ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა გამოცდილების საფუძველზე კოლმეურნეობამ წინასწარ გაანაწილა ძალები და წესრიგში მოიყვანა ინვენტარი ნათესების გათოხნა-დაშუშავების კამპანიის დაწესებულ ვადებში ჩასატარებლად და დასაბა მუშაობის მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები ძირითად უბნებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მინერალური სასუქის შეტანის გეგმა და დეწესებულ ვადაზე ადრე დაამთავრა ჩაის პლანტაციების პირველი გათოხნა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლმეურნეთა აგრო-ტექნიკური ცოდნის გაღრმავებას. ამ მიზნით მოწყობილ იქნა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის და მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის შემსწავლელი კურსები.

ქალთა შრომა ფართოთაა გამოყენებული. **ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში ქალთა შრომა გამოყენებულია 95 პროცენტით.**

საკოლმეურნეო ბრიგადირების ყურადღების ცენტრშია მოქცეული აგრო-წესების დაცვა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დროს. საკოლმეურნეო ბრიგადები ყოველდღე ზომებს ხმარობენ იმისათვის, რომ მოკრეფილ იქნას მხოლოდ **პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი.** კრეფა მიმდინარეობს ჩაის საკავშირო საგამოცდელო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ახალი წესების სრული დაცვით.

კოლმეურნეობაში წარმატებით მუშაობენ საწარმოო თაობირები. ყველა ბრიგადები და ჯგუფები მიმაგრებულნი არიან განსაზღვრულ ნაკვეთებზე. ყველა კოლმეურნეობებს ხელზე აქვთ დარიგებული შრომის წიგნაკები. ნაკვეთზე მომუშავე თვითეული კოლმეურნეზე მიმაგრებულია ინვენტარი, რომელზედაც იგი პასუხისმგებელია.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებით კოლმეურნეობა განმტკიცდა ორგანიზაციულად და გადიდდა ცალკე კოლმეურნეთა მატერიალური დონე. ამჟამად კოლმეურნეობას აქვს საკუთარი წისქვილი, მეხილეობის და მებოსტნეობის ფართული ჩაქვში, და სახადილო.

კოლმეურნეობაში მოწყობილი საბავშვო ბაღა 40 ბავშვისათვის.

კოლმეურნეობაში „განთიადი“-ს წევრება სიტყვას იძლევიან, რომ ბეზენჩუკელთა გამოცდილების საფუძველზე კიდევ უფრო გააძლიერებენ ნათესების გათოხნა - დაშუშავების, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის და მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლის ტემპებს (ავდს).

შაქრის ჭარხლის ნათესების შეთხელება—გათოხნის კამპანიას დამკვრელის ტემპები

საქ. ტრაქტორცენტრის ცნობებით, 31 მაისისათვის შაქრის ჭარხლის ნათესების პირველი თოხნა ავარის სამ. სატ. სადგურს შესრულებული ჰქონდა 95,9 პროცენტით, გორის —99,5 პროცენტი, **კასპის**—89 პროცენტით. პირველი თოხნა უნდა დამთავრებულიყო 15 მაისისათვის. მაგრამ **კასპის რაიონმა ვერ უზრუნველყო ამ სამუშაოს 31 მაისისათვის** დამთავრება.

ჭარხლის ნათესების დამუშავებაში პირველი თოხნის შემდეგ მორიგი მუშაობა არის პირველი შეთხელება —გათოხნით, რომელიც უნდა დამთავრებულიყო 1 ივნისისათვის. საქ. ტრაქტორცენტრის ცნობები მოწმობენ, რომ **შეთხელება—გათოხნის კამპანია დაუშვებელი ნელი ტემპებით მიმდინარეობს.** ასე მაგალითად, ამავე რიცხვისათვის ავარის სამ. სატ. სადგურებს გეგმა შესრულებული ჰქონდა 36,9 პროცენტით, გორის—67,4 პროც. კასპის—49,2 პროც. ამავე დროს 18 მაისიდან უნდა დაწყებულიყო ჭარხლის ნათესების მეორე **შეთხელება—გათოხნით. ამ მუშაობას ჭარხლის რაიონები დღემდე არ შესდგომიან.**

ცნობილია, რომ შაქრის ჭარხლის პირველი და მეორე შეთხელება—გათოხნით სწყვეტს მოსავლიანობის გადიდების საკითხს, რადგან ჭარხალი სხვა კულტურებთან შედარებით მოითხოვს დამუშავების ყველა პროცესების ყოველ მიზეზს გარეშე დაწესებულ ვადებში დამთავრებას.

ჭარხლის ნათესების შეთხელებასთან ერთად ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ჩავატაროთ გათოხნა რადგან თოხნის დროს ისპობა სარეველა ბალახები და ნიადაგი ინარჩუნებს სინესტეს, რაიც აუცილებელია ჭარხლის ნორმალური ზრდა—განვითარებისათვის.

ზემოხსენებულ აგროწესების ურყევად გატარებით უნდა უზრუნველვყოთ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების გატარება შაქრის ჭარხლის მოსაკალიანობის გადიდების დარგში. საქ. კ.პ.(ბ) ცკ-მ დაავალა ჭარხლის ფართობი პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს „ჩატარონ ადგილებზე გამოცდილ საველდებულო აგროწესების სისტემატიური შემოწმება იმ ანგარიშით რომ აგროწესების დამრღვევთა მიმართ გამოყენებულ იქნას სასჯელი ზომების, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის სკკპ მე-3 სესიის გადაწყვეტილებაში და საქართველოს ცკის ა-წ 26 თებერვლის დადგენილებაში“.

განსაკუთრებული რადენება უნდა მიექცეს აგრეთვე ჭარხლის მავნებლებთან ბრძოლას და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობის დასაშუშავებელი ინარეების მომარაგებას. ამის შესახებ ცეკას დადგენილებაში ნათქვამია: „ჭარხლის თესვის რაიონების სამ. სატ. სადგურებმა და რაიმოწყობკომედების განყოფილებებმა დაამზადონ ადგილებზე სარეველა ბალახების და კოლმეურნეობების საჭირო რაოდენობის თოხები იმ ანგარიშით, რომ სავსებით უზრუნველყონ კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მეურნეობები საჭირო უმარტივესი ინვენტარით“.

ჭარხლის რაიონების პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა **მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ ქალთა შრომის გამოყენებას გამარგვლა-გათხნის კამპანიაში.** უზრუნველყონ საკოლმეურნეო ბრიგადების სრული შემადგენლობით გასვლა სამუშაოზე. დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ ზარმაცობის და მუშათა ხორების წინააღმდეგ, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის მაღალ საფეხურზე აყვანით, დაკვრითი წესით არმოუხვრან სამარცხვინო ჩამორჩენა ჭარხლის პირველ შეთხელება—გათოხნაში. ამასთანავე გადაჭრით გააძლიერონ მეორე შეთხელება-გათოხნის კამპანია, რომელიც უსათუოდ უნდა **დამთავრდეს დაწესებულ ვადაზე ე.ი. 15 ივნისამდე.**

თ. ჯ.

მინდვრის მავნებლებთან ბრძოლას მთელი ძალები

მომდინარე წლის მაისის შუა რიცხვებში აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში შემჩნეული იქნა მინდვრის მავნებელი, ე. წ. „ველის ფარვანა“. ეს მავნებელი პირველად გამოჩნდა და მასიურად მოედო შაქრის ჭარხლის, ბამბის, სიმინდის, რამის და სხვა ნათესებს.

გუშინ საქ. მიწსახკომში ამის. **მათი კაშვილთან** მოწვეული იყო საგანგებო თათბირი, რომელსაც დაესწრენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. თათბირზე დასახული იქნა ღონის ძიებები. ზემოხსენებული მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დღეს საქ. მიწსახკომის მიერ რაიონებში იგზავნებიან პასუხისმგებელი ამხანაგები და საქ. მცენარეთა დაცვის საგამოკვლევო ინსტიტუტის სპეციალისტები, რომლებსაც ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად დავალებული აქვთ გამოიკვლიონ მავნებლებით მოდებული ფართობები და მიიღონ ყოველგვარი ზომები ნათესების დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

საქ. ტყის და მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის საზოგადოების მიერ რაიონებში იგზავნება ზმამები, მასალები და აპარატურა.

საჭიროა რაიონულ ორგანიზაციებმა მობილიზაცია უყონ მთელ ძალებს „ველის ფარვანას“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს მავნებელი დიდი საშიშროებას უმზადებს შაქრის ჭარხლის, ბამბის და სხვა ძვირფას კულტურების ნათესებს.

შეუნელებელი ყურადღება შაქრის ჭარხლის ნათესების და ჩაის პლანტაციების დამუშავებას

ამხ. სტალინს ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის დამკვრელებისაგან

(მისასალმებელი დეპეშა, მიღებული ქარხნის ამუშავებისადმი მიძღვნილ მიტინგზე)

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! შენ უკეთესს საუკეთესო ლენინელთა შორის, პარტიისა და საერთაშორისო პროლეტარიატს საყვარელ ბელადს, სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორს და ხელმძღვანელს, ჩვენს ყველაზე უფრო ახლო მასწავლებელს, ამხანაგს და მეგობარს, ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მუშათა და ინჟინერ - ტექნიკოსთა 12 ათასი კაცისაგან შემდეგი მიტინგი გიგზავნის მხურვალე პროლეტარულ სალამს. გიდგენთ პატაკს: უკვე აღარ არის ტრაქტორმშენი არის მძლავრ მუხლუხა ტრაქტორების სატრაქტორო გიგანტი, რომელიც შექმნილია თქვენი ინიციატივით, თქვენი ნაცადი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით. ჩვენ მუდამ ვზრუნავდით შენს დაუღალავ ყოველდღიურ ზრუნვას ქარხნის შესახებ, მუშების შესახებ. ეს გვამხნევებდა ჩვენ.

ქარხანა აგებული და ამუშავებულია. ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მუშები, მუშა-ქალები და სპეციალისტები მტკიცედ შეუდგენ შენ მიერ ტექნიკის დაუფლების შესახებ მოცემულ მითითებათა შესრულებას. გაძლევთ შენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენს მუშურ სიტყვას 1933 წელს გამოუშვათ ორი ათასი მაღალხარისხოვანი ტრაქტორი „სტალინეც“-ი მძლავრი იარაღი სოფლის მეურნეობის შემდგომი სოციალისტური გარდაქმნისათვის და მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის.

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ამხ. სტალინს, რომელსაც მიყავს მუშათა კლასი სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ!

ამხ. კალინინი საზეიმო მიტინგზე

ჩელიაბინსკი, 1 ივნისი. ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მთელი მოედანი საზეიმოთაა მორთული. რკინა-ბეტონის კორპუსებზე გაკრულია ლოზუნგები: **„ამხ. სტალინის მიერ მითითებული გამარჯვების 6 პირობის განხორციელებამ უზრუნველყო ჩვენი წარმატება“.** კორპუსების კედლებზე გამოკიდულია ქარხნის მშენებლობის მონტაჟის სტენგაზეთი დამკვრელების სურათები. 12 საათზე ქარხანა დროებით სწყვეტს მუშაობას. ქარხნის პიშკრებიდან იწყებენ შემოსვლას კოლონები და გროდებიან ქარხნის ეზოში ტრიბუნის გარშემო აქ არიან სატრაქტორო ქარხნის და ჩელიაბინსკის დანარჩენი საწარმოების ყველა მუშები, მთელი, საბჭოთა კავშირის ფიზკულტურების, ქარხნების და კოლეგიტების სპეციალისტები, პიონერები და წითელი არმიის ნაწილები. დემონსტრანტებს ხელ აჰქონ დროშები, **ამხ. ლენინის, სტალინის, კალინინის** სურათები: დემონსტრანტების მიერ მოტანილ დროშებზე არის წარწერა: **„ქარხნის ამუშავება — პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებაა“. „ვაუმარჯოს ამხ. სტალინს!“. „ვესალმებით ჩვენს შორის მყოფ საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს, ძველ ბოლშევიკს — ამხ. კალინინს“. „დასცინე მტერს არა სიტყვით, არამედ ტრაქტორით“, „ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის სამშენებლო შტაბოფიცრებს გეგმა“.** ორკესტრების ხმები და სიმფონები გაისმის ქარხნის ეზოში. 3 საათზე მიტინგის მწყობრი რიგები შეირხა, გაისმა „ურა“: **„ხალისი ამხ. კალინინს“.** ქარხნის ჰიმნში შემოვიდნენ ამხ. კალინინი, გოლოვინი (საქ. კ. პ. (ბ) ურალის საოლქო კომიტეტის მდივანი), ოშვინცევი (ურალის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე), **ლოვინი** (ქარხნის დირექტორი), **კაგანოროდოვი** (პარტკომის მდივანი). დიდხანს არ შეწყვეტილა ტაში და მისასალმებელი სიტყვა.

მიტინგი გახსნა ამხ. ოშვინცევმა.

„დღეიდან საბჭოთა ქვეყნის მთელი მუშათა კლასი,—აშკობს ამხ. ოშვინცევი,—თვალყურს ადევნებს, თუ როგორ დაიწყებს ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა თავისი ტექნიკური სიმძლავრის თვისებებს. დამკვრელებს — მშენებლობის ენტუზიასტებს შეუძლიათ სიამაყით სთქვან: „პარტიის და ბრძოლის ბრძანებით, 1 ივნისისათვის ჩვენ ავაშენეთ ჩვენი ქარხანა“. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ავაშენეთ ჩვენი ქარხანა ბოლშევიკური ტემპებით, ბოლშევიკური ხარისხით

პარტიის წმენდის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვა მოსკოვის პარტაქტივის საქალაქო კრებაზე 1933 წლის 22 მაისს

I

წმენდის მნიშვნელობა

ჩვენი პარტიის 3.200.000 წევრიდან და კანდიდატიდან თითქმის ნახევარს (დაახლოებით 1.500 ათას კაცს, აქედან 250 ათას პარტწევრს და 1.250 ათას კანდიდატს) არასოდეს არ გაუცვლია წევრობა. უკვე მარტო ეს გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება წმენდას წევრების და კანდიდატების აუვანისათვის ახალ იდეურ-პოლიტიკურ სიმაღლეზე. 3.200 ათასი კაცი, თვითეული ცალკე გამოვა ტრიბუნაზე და ანგარიშს ჩააბარებს პარტიას, მრავალ ათეულ ქილომეტრ უპარტიოს,—რით დაიმსახურა თვითეულმა მათგანმა უფლება ატაროს დიდი პარტიის წევრის სახელი, ისინი გვიამბობენ, თუ როგორ მუშაობენ, როგორ ეხმიან პარტიის ნიშაში მდგომი ამოცანები და რამდენად მზად არიან იბრძოლონ შემდეგშიაც პარტიის საქმისათვის, მუშათა კლასის საქმისათვის.

პროლეტარული პარტიების ისტორია არ იცნობს ისეთი ძლიერების მაგალითებს, რომელსაც იჩენს ჩვენი პარტია თვით წმენდის აქტში. და ეს შემთხვევითი არ არის, ეს ჩვენოვილია თვით ჩვენი პარტიის ბუნებაში და მის თვისებებში, რომლებითაც იგი განსხვავდება მსოფლიოში წინად და ახლა არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიებისაგან. ჩვენი პარტიის აღებულება, მისი მუშაობის მეთოდები, პარტიის თვითეული წევრის მდგომარეობა და ვალდებულებანი მთლიანად გამომდინარეობენ იმ დიდ მიზნებიდან, რომლებსაც ისახავს და ას ხორციელებს პარტია.

ჩვენი პარტია არის განსაზღვრული კლასის — რევოლუციური კლასის თანამოაზრეთა მებრძოლი კავშირი, რომელიც წარმოიშვა ნებაყოფლობის საფუძველზე, კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალიზმის ლიკვიდაციას და ახალი სოციალისტური წყობილების, კომუნიზმის წყობილების დამყარებას. ისეთი კავშირი, რომელიც ცალკე წევრების ინტერესებს უმორჩილებს მთელის ინტერესებს, მთელი პარტიის ინტერესებს, მთელი კლასის ინტერესებს. ისეთი კავშირი, რომელსაც ახასიათებს რკინისებური დისციპლინა — მებრძოლი პარტიის არსებობის საფუძველი. ისეთი კავშირი, რომელიც ერთიანად აზროვნობს, ერთიანად მოქმედობს. ისეთი კავშირი, რომელიც ებრძვის თავის წრეში შეუთანხმებლობის, უდისციპლინობის, წვრილ-ბურჟუაზიულ ჭაობის ღა მერყეობის ყოველგვარ გამოხატულებას, რაც ძირს უთხრის პარტიის ბრძოლის უნარს.

„პარტია არის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც აუცილებლად დაიშლება, ჯერ ოდეური, ხოლო შემდეგ მატერიალურადაც, რომ იგი არ სწრდდეს თავის თავს ისეთი წევრებისავან, რომლებიც ანტიპარტიულ შეხედულებებს ქადაგობენ. პარტიულთა და ანტიპარტიულთა შორის საზღვრის მაჩვენებელია პარტიული პროგრამა, პარტიის ტაქტიკური რეზოლიუციები და მისი წესდება....“ (ლენინი, „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, ტომი 8, გვ. 389).

პარტიის რიგების გაწმენდა არის აუცილებელი პროცესი იხეთივე, როგორც არაგვანსაცი ელემენტებისაგან ჯანსაღი ორგანიზმის გაწმენდის პროცესი.

რევოლიუციამდე პარტიული რიგების გაწმენდის პროცესი, ახე ვსთქვათ, უფრო სტატიური წესით მიმდინარეობდა. თვით ვითარება, თვით ჩვენი პარტიის არსებობის პირობები ხელს უწყობდენ ჩვენი არსებობის ბუნებრივე გაწმენდას. მართლაც, ბრძოლა ცარიზმის პირობებში, დაპატიმრების, დევნის, გაჭირვების დროს, ადამიანს აყენებდა ისეთ მდგომარეობაში რომ მას წინასწარ ბოლომდე უნდა მოესწორა, თუ რა საქმეს კიდებდა ხელს. ახალგაზრდებს, 17—18 წლის ყმაწვილს ან ქალიშვილს, უნდა გადაეწყვიტათ თავისთვის, როცა ისინი რევოლიუციური ბრძოლის გზაზე დგებოდნენ, რომ ისინი თავის პირად ცხოვრებას უმორჩილებდენ რევოლიუციური მოძრაობის საერთო ინტერესებს, პროლეტარული რევოლიუციის ინტერესებს, კომუნისტის ინტერესებს. ეს ად შიანები მზად იყვნენ მოსულიყვნენ საპატიმროში, კატორღაში, ციმბირში. ისინი ცხოვრობდენ არალეგალობის მძიმე პირობებში. ამიტომ რევოლიუციამდე პარტის გაწმენდის პროცესი საეცვალური წესების გარეშე მიმდინარეობდა, ის მეტ წილად სწარმოებდა, ასე ვსთქვათ, ბუნებრივი გაცხრილვის გზით. ვინც სუსტი იყო, ის უკან ბრუნდა, ის შორდებოდა პარტიის რიგებს არა სპეციალური წმენდის შედეგად, არამედ თვით თავად.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ხელისუფლების მოპოვების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვენ მოგეტმასნა მრავალი უცხო ელემენტი. პარტია ენერგიულად ებრძოდა კარიერისტებს მიტმასნებოდენ პარტიას. იმ ხელისუფლებას მიეტმასნენ. მაგრამ შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომის ფრონტები. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კოლჩაკთან, ჩეხო-სლოვაკებთან, კოლჩაკთან, დენიკინთან, იუდენიჩთან, პოლონელებთან, ვრანგელთან. ამ მძიმე დღეებში ფრონტებზე ბრძოლა ხელს უშლიდა წაგლეჯებს და კარიერისტებს მიტმასნებოდა პარტიას. იმ დღეებში, როცა დენიკინი ტულას უახლოვდებოდა, პარტია ათასობით ლეპარტიულ კვირებს და ათი ათასობით ლეპარტიულ მუშებს, რომლებიც ხალისით და ნებაყოფლობით შეეიდნენ მასში საბჭოთა ხელისუფლების ტრენებთან საბრძოლველად. მაგრამ მაშინაც კი პარტიას ერთი წუთითაც არ შეუსუსტებია თავისი ბრძოლა ჩვენს რიგებში შეპარული ცხოველებთან, რომლებიც ძირს უთხრიდენ ჩვენი პარტიის ბრძოლის ეფექტიანობას. ეს ად შიანები მზად იყვნენ მოსულიყვნენ საპატიმროში, კატორღაში, ციმბირში. ისინი ცხოვრობდენ არალეგალობის მძიმე პირობებში. ამიტომ რევოლიუციამდე პარტიის გაწმენდის პროცესი საეცვალური წესების გარეშე მიმდინარეობდა, ის მეტ წილად სწარმოებდა, ასე ვსთქვათ, ბუნებრივი გაცხრილვის გზით. ვინც სუსტი იყო, ის უკან ბრუნდა, ის შორდებოდა პარტიის რიგებს არა სპეციალური წმენდის შედეგად, არამედ თვით თავად.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ხელისუფლების მოპოვების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვენ მოგეტმასნა მრავალი უცხო ელემენტი. პარტია ენერგიულად ებრძოდა კარიერისტებს მიტმასნებოდენ პარტიას. იმ ხელისუფლებას მიეტმასნენ. მაგრამ შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომის ფრონტები. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კოლჩაკთან, ჩეხო-სლოვაკებთან, კოლჩაკთან, დენიკინთან, იუდენიჩთან, პოლონელებთან, ვრანგელთან. ამ მძიმე დღეებში ფრონტებზე ბრძოლა ხელს უშლიდა წაგლეჯებს და კარიერისტებს მიტმასნებოდა პარტიას. იმ დღეებში, როცა დენიკინი ტულას უახლოვდებოდა, პარტია ათასობით ლეპარტიულ კვირებს და ათი ათასობით ლეპარტიულ მუშებს, რომლებიც ხალისით და ნებაყოფლობით შეეიდნენ მასში საბჭოთა ხელისუფლების მებრძოლ

სოცშეჯიბრება—ტყიბული-ჰიათურა-ალავერდი

ტყიბულის იზოტოვებმა—ამხ. ბეშკენაძემ, გვენეტაძემ ღირსეული პასუხი გასცეს

უნდა გადასცენ თავიანთი გამოცდილება მაღაროელთა მასებს

„ამხ. ტყიბულელებო! თქვენც გყავთ ნამდვილი დამკვრელები, იპოვეთ ისინი, გადაიღეთ მათი გამოცდილება, მათი გმირული მუშაობა გახადეთ გეგმისათვის ბრძოლის დროშად“

(„ნიკიტა იზოტოვის წერილიდან)

ფართო გზა მოწინავეთა გამოცდილებას

(ტყიბული, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„თქვენი ამოცანა ამხანაგო დამკვრელებო, ბიც. ლენინის უბნის საუკეთესო ბრიგადირი, რომელიც მიცემულ საწარმოო დავალებებს ყოველთვის ასრულებს წარმატებით. გეგმით გვენეტაძის ბრიგადის თვითთულმა წევრმა უნდა გამოიღოს 11 ვაგონეტკა ქვანახშირი, ფაქტიურად გამოიღება მაინის თვეში აღწევდა 1:1 ვაგონეტკას, თუ სტალინის უბანში საუკეთესო ბრიგადირად დამკვრელი მწყრ ველი ამხ. არსენა ბეშკენაძე ითვლება, ლენინის უბანში პირველობა ეზეკია გვენეტაძეს ეკუთვნის.

სამწუხარო ის არის, რომ ტყიბულელი იზოტოველები ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ ერთმანეთის მუშაობას, რომ არაფერი ვიცვათ მუშათა უკანო მასებზე. გაზ. „კომუნისტი“-ს და „ტყიბულის მაღაროელი“-ს გამსვლელი რედაქცია უკვე შეუდგა საუკეთესო დამკვრელების გამოცდილების გაცნობას მაღაროელთა მასებისათვის.

მუშა-ხელის დეფიციტის ლიკვიდაცია, მაღაროებისათვის მუდმივი კადრების შექმნა ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია ტყიბულის მაღაროებისათვის. ფაქტია, რომ გარკვეული ხანია ტყიბულის მაღაროებს ყოველდღიურად აკლდება 100-მდე მუშა-ხელი, ცვლილებები ხდება ერთი ორი ათეულის ფარგლებში. ეს ცვლილებები ძირითადად ორ მიზეზზე მოდის: ან მუშა-ხელი ტოვებს მაღაროებს, ან ცვლილებები ხდება მუშა-ხელის შიგნით, ერთი ბრიგადიდან მეორეში გადასვლის გამო. ეს ცვლილებები ხდება ყოველდღიურად, ყოველ დღე ტყიბულის მაღაროებს ტოვებს 100-მდე მუშა-ხელი, ან ახალი მუშა-ხელი ემატება ამ რაოდენობას. ეს ცვლილებები ხდება ყოველ დღე

მანჯურიის ხელისუფლების ახალი უფლებები სადგურ პოგრანიჩნაიაზე

პირდაპირი მიმოსვლის შეწყვეტა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზებსა და უსურიის რკ. გზებს შორის

ხაბაროვსკი. 1 ივნისი, 31 მაისს პოლიციის შეიარაღებულმა რაზმმა, რომელსაც მეთაურობდა მანჯოეთის გზათა სამინისტროს იაპონელი მოხელე **სატო**, შეუყენა მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზებსა და უსურიის რკინის გზებს შორის, რაც სწარმოებდა შვიდი წლების განმავლობაში. გზებს შორის დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე.

სადგურ პოგრანიჩნაიას უფროსის ჩამოართვეს რკინის გზის ისრების გასაღებები, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის და უსურიის რკინის გზის შემაერთებელ გზებზე დაუწყეს შპალები და მთავარ ლიანდაგზე დიდძე შლეგმატი. რათა ხელი შეუშალონ სატვირთო მატარებლების შემოსვლას პოლიციამ სადგურის უფროსს მანჯურიის მთავრობის სახელით ჩააბარა წერილობითი განკარგულება, რომელსაც ხელს აწერენ იაპონელი სატო —ეზათა სამინისტროს მოხელე (სამხრეთ მანჯურიის რკინის გზების ყოფ. მოსამსახურე), რკინის გზის პოლიციის განყოფილების უფროსი იან-ფუ-ფუანი და მე-5 განყოფილების ზედამხედველი— თეთრგვარდიელი ნოვიკოვი. ამ განკარგულებით ძალით დაუყოვნებლივ უნდა შესწყდეს პირდაპირი მიმოსვლა, ხოლო უსურიის რკინის გზისაკენ მიმავალი ტვირთი უნდა გადაიტვირთოს პოგრანიჩნაიას სადგურზე. ამ ზომების ასახუთებენ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის დაცვის ცრუ საბაბით. სადგურის უფროსმა განაცხადა პროტესტი მანჯურიის ხელისუფლების უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც არღვევს არსებულ შეთანხმებას და რომელსაც დეზო-ორგანიზაცია შეაქვს სადგურის ნორმალურ მუშაობაში, ამასთან მან დაუბარებია მათ მის მიერ მიღებული წერილობითი განკარგულება, როგორც მიმართული ორი დაინტერესებული მხარის, და წინადადება მისცა ყველა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება ცვლილებების შეტანას სადგურის მუშაობაში, უშუალოდ მიმართონ გზის სამმართველოს.

გზის მმართველმა ამ, რუდიგ სასწრაფოდ გაუკეთა მოხსენება გზის გამგეობას და გააშუქა სადგურ პოგრანიჩნაიაზე მომხდარი ამბები, რომლებიც ძალადატანებით აუმჯობესებენ რკინის გზებსა და უსურის რკინის გზებს შორის დაფიქსირებულ ხელშეკრულებას და უხეშად არღვევენ გზის და კლიენტების კომერციულ ინტერესებს. ამის, როგორც სთხოვა გამგეობას მიღოს სასწრაფო ზომები გზა-სატრანსპორტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, სადგურ პოგრანიჩნაიას მუშაობის აღსადგენად და ომისათვის. რომ აღდგენილ იქნას პირდაპირი მიმოსვლა (ტვირთის გადატვირთვის) უსურიის რკინის გზასთან, რომელსაც აქვს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა (ადს).

საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის წინ

საბჭოთა კავშირის დელეგაციის გენერალური ხელმძღვანელობა განიარაღების კონფერენციაზე

ჟენევა, 31 მაისი. „ტურნალ დე ჟენევი“ ბუკვალის საბჭოთა კავშირის დელეგაციის გენერალური მდივნის განცხადებას გაწიაღების კონფერენციაზე. ეს განცხადება უარყოფილი იქნა როგორც მიღებულ ცნობებს შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა ითხოვს აწარმოებს მოლაპარაკებას ინგლისთან ეშბორგის და მოსკოვში დაპატიმრებულ ინგლისელ ინჟინრების შესახებ.

მცირე ანტანტის კონფერენციის ოფიციალური ცნობა

კრაკოვი, 31 მაისი. მცირე ანტანტის კონფერენციამ კრაკოვში გამოაქვეყნა მეორე ოფიციალური ცნობა; რომელშიაც იგი ამცირებს მცირე ანტანტის ქვეყნების დამოკიდებულებას მსოფლიო პოლიტიკის კონფერენციისადმი. მცირე ანტანტის ქვეყნების შორის უფრო მეტი ურთიერთობის დამყარების საჭიროება აღინიშნა. ამასთან ერთად ხაზი გაესვა იმას, რომ ამ ქვეყნების ეკონომიური ინტერესები ერთმანეთის მსგავსია და ამიტომ ისინი ერთნაირად არიან დაინტერესებული საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის წარმატებით მოწყობაში.

ანტისაბჭოთა გლოკი და მისი ლონდონელი ინსპირატორები

„პრავდა“ წერს: „ოთხი სახელმწიფოს პაქტი ფორმალურად იმყო რომში, ფაქტიურად კი იგი შეიქმნა ლონდონში ან უფრო სწორად რომ ვთქვათ—გზაში ლონდონიდან უენეკამდე. სწორედ ბრიტანეთის იმპერიალიზმის პრომპტმა ეს გეგმა,, როშელმაც ერთი თვის განმავლობაში განიცადა მთელი რიგი ცვლილებანი და რამდენჯერმე იქნა გადაკეთებული. ოთხი სახელმწიფოს პაქტის პროექტი ნაკლებად გავს წინანდელ პროექტს, მაგრამ ხელუხლებელი დარჩა ბრიტანეთის იმპერიალიზმის ანტერვენციონისტული პოლიტიკა, რომელმაც მკაფიო გამოხატულება პოვა საბჭოთა იმპორტის ემბარგოში. ამიტომ ოთხი სახელმწიფოს პაქტი მის ახალ გამოცემაშიაც. წინანდელივით რჩება ანტისაბჭოთა გეგმად, რომელიც შექმნილია ბრიტანეთის გაიალმატიის „დემოკრატიის“ მიერ ბრიტან. იმპერიალიზმი როგორც ეს ჩანს მთელი მისი პოლიტიკიდან, ცდილობდა და ეხლაც ცდილობს ჩაიდგეს ანტისაბჭოთა ძალების საათავეში. ჯონ სამონი, რასაკვირველია, ვერ შეიდრებს კერზონს, მაგრამ სწორედ ბრიტანეთის, ეხლანდელ მინისტრს ხვდა წილად აღადგინოს ძველი „ოქროს წესი“, რომელსაც ბრიტანეთის იმპერიალიზმი იცავდა მრავალი ათეული წლის განმავლობაში—გასწიოს შუამავლობა მტრულად განწყობილ დაგდგუფებებს შორის, აამზადროს ერთი მეორის წინააღმდეგ და ამით დაასუსტოს ორივე.

ბრიტანეთის იმპერიალიზმი ცდილობს დაუბრუნდეს ამ ოქროს წესს სწორედ ეხლა იმიტომ, რომ მისი დახმარებით, ბოლოს განსორციელოს, გერმანიის ხელისუფლების სათავეში ფაშიზმის ჩადგომასთან დაკავშირებით, ანტისაბჭოთა დიდი ხნის გეგმები. ბრიტანეთის იმპერიალიზმი დაინტერესებული იყო ოთხთა სახელმწიფოს პაქტზე ხელის მოწერას წინააღმდეგობათა თანამედროვე გამწვავების დროს.

ლონდონელმა მშვიდობის მყოფელებმა დაჰკარგეს იმის იმედი, რომ ოთხი შეხლეს ბენ ერთა ლიგის გამოყენების საკმაო ფორთო მასშტაბით, ოთხი მზად არიან შექმნან მის ნაცვლად ახალი აპარატი. რომელიც უფრო ხელს შეუწყობს ბრიტანეთის იმპერიალიზმს მისი საგარეო პოლიტიკური ბაზის და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციონისტული გეგმების განხორციელებაში.

ოთხ სახელმწიფოს პაქტში, დამოუკიდებლად მისი ფორმისა, ბრიტანეთის იმპერიალიზმი ხედავს მთავარ იარაღს იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც დასახულია საიმონის უკანასკნელ სიტყვაში. სწორედ ამიტომ გამოდიან ასე ენერგიულად ბრიტანეთის წარმომადგენლები თაფდამხმელი მხარის საბჭოთა განმარტების წინააღმდეგ, ვინაიდან სწორედ ბრიტანეთის ეს რეაქციონის და როზენბერგის ტიპის მახინჯისტური ლაქიები ემზადებიან იმისათვის, რომ გადაიქცენ თავდასხმელ მხარედ. ამიტომ ოთხი სახელმწიფოს პაქტი მოგვაგონებს [illegible] საბჭოთა ბოლშევიკის სისტემას, რომელთა შექმნასაც ასე გულმოდგინედ ცდილობს ბრიტანეთის ძველი საუკუნოვანი ექსპლუატატორი ევროპაში და მის ფარგლებს გარეშე.

შუბლმაგრები უკვე მზად არიან ისზეიმონ თავისი ანტისაბჭოთა ერთ-ერთ ზრახვის განხორციელება, მაგრამ ეს ბალონები ზედმიწევნით ბატონ შუბლმაგრებო. ახალი ანტისაბჭოთა გეგმის განხორციელება არ არის დამოკიდებული მარტო ბრიტანეთის იმპერიალისტებისგან.

მარგანეცი

31 მაისს ჭიათურის მაღაროებში ამოღებულ იქნა 2.513 ტონა მარგანეცი—გეგმის 76.7 პროც.

ამოღება

მაღაროების ჯგუფი	დღიური დავალება	შესრულება	შესრულების პროცენტი
პირველი	1.496	1460	985
მეორე	1.781	1.053	59

გარეცხვა

პირველი	604	614	110
მეორე	852	504	61

ქვანახშირი

31 მაისს ტყიბულის მაღაროებში ამოღებულ იქნა 1021 ტონა ქვანახშირი—გეგმის 85 პროც.

	დღიური დავალება	შესრულება	შესრულების პროცენტი
ლენინის უბანი	491	501	103,3
სტალინის უბანი	717	525	73

ტყიბული, 2 ივნისი (საკ. კორ.) უკანასკნელ ხუთდღიურში ტყიბულის მაღარ. ქვანახშირის ამოტება გაიზარდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 31 მაისი. ამ დღეს ამოღებულ 106 ტონით მეტი წინადღესთან შედარებით.

სულ, მაისში ამოღებული 16.648 ტონა ქვანახშირი, თეორიული გეგმის 57 პროც.

საქ. პ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილების საპასუხოდ

ჭიათურა, 2 ივნისი. (ჩვენი ბრიგადიისაგან) 1 ივნისს ჭიათურის რაიკომში შესდგა სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებისა და კომუნჯრედების მდივნების გაფართოებული თათბირი. რომელზედაც დამუშავდა საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის უკანასკნელი დადგენილება მარგანეცის მრეწველობის მუშაობის შესახებ. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ჭიათურის რაიონის სოფლებში მოსპობილა მარგანეცის მრეწველობის დასაკმაყოფილებლად სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებმა იკისრეს ვალდებულება, რომ მიაწოდებენ მარგანეცის მრეწველობას საჭირო მუშა-ხელს. ამ ნიადაგზე მათ შორის გაიმართა სოცშეჯიბრება.

წარჩევის სოფლის საბჭომ შეფო ბა აიღო № 4 მაღაროზე და იკისრა 3 დღის განმავლობაში მიაწოდოს მას 45 მუშა; აქედან: 30 მნგრეველი და 15 მენჩიბე. წარჩევის სოფლის საბჭომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ჩალოვანის, საბჟო. ამ უკანასკნელმა იკისრა მიაწოდოს მაღაროს 15 მუშა; აქედან: 10 მნგრეველი და 5 მენჩიბე.

მუშა-ხელის ის რაოდენობა, რომ ლის მაღაროებისათვის მიწოდება სოფლის საბჭოებმა იკისრეს, სრულიად უზრუნველყოფს მაღაროების მოთხოვნილებას, ამ მხრივ სოფლის საბჭოები მაამაგრებ და კომუნჯრედების ცალკე მაღაროებზე, განსაზღვრეს მათ მიერ გამოსაყვანი მუშების რაოდენობა და კვალიფიკაცია.

აჩრდ: დ მაღაროებს ქსაჩიროება სულ 644 მუშა, მათ შორის 457 მნგრეველი და 187 მენჩიბე. გამოყოფილია საჭიროთა ფონდი 2.250 მან. რადენობით, იმ სოფლის საბჭოების დასაგვილდოებლად, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ ვალდებულებას მუშა-ხელის შეგროვების საქმეში.

31 მაისს და 1 ივნისს ცეკას 27 მაისის დღდგენილება დამუშავდა № 4 და № 17 მაღაროების დამკვრელთა შეკრებაზე და ძირა სამკუთხედების თათბირზე. მაღაროს მუშები, ცეკას 27 მაისის დადგენილების საპასუხოდ, მიემგრენ წარმოებას და გადაწყვიტეს უახლოეს დღეებში მაიღონ წაიღონ გადამწყვეტ გარდატეხას მარგანეცის ამოღების ფრონტზე. № 17 მაღაროდან, რომელიც ასრულებს თავის გეგმას, რამოდენიმე საუკეთესო მნგრეველი და მენჩიბე გადაყვანილია № 4 მაღაროში.

შ. ბუაჩიძე, რ. ფალავანდიშვილი

ამხ. თეოფილე გიგინეიშვილის გარდაცვალება

1 ივნისს, საღამოს 9 საათზე თბილისში, ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აზერბეიჯანის ახალსართავე კულტურათა ტრესტის დირექტორი, ძველი ბოლშევიკი ამხ. **თედორე (თეოფილე) ივანეს-ძე გოგინეიშვილი.** განსვენებულის დასასაფლავებლად გამოყოფილია დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. ვაშაკიძე, კ. ბარბაქაძე, ს. ტატარაშვილი და ცხრა მელიძე. დღეს 4 საათზე [illegible] ცხედარი დღეს ნაშუადღევის 5 საათზე ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტიდან (ლერმონტოვის პროსპ. № 139) გადმოსვენებული იქნება პროფკავშირთა დარბაზში. საღამოს 8 საათზე მავე დარბაზში შესდგება სამოქალქო პანაშვიდი. დაკრძალვა მოხდება 4 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე.

საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებზე

კონკურსის ჩატარებელი რესპუბლიკური ჟიურის ინსტრუქცია

1. ავტორებს რომელნიც მონაწილეობას იღებენ კონკურსში, შეუძლიათ წარადგინონ პიესები როგორც ქართულ ენაზე, ისე ამერ.-კავკ. ყველა ეროვნებათა ენებზე.

2. პიესის თემა ავტორის შეხედულებისამებრ შეიძლება აღებულ იქნას როგორც საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა კავშირა, ისე აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნების ყოფა-ცხოვრებიდან.

პიესები შეიძლება დაწერილ იქნას ყოველნაირი ჟანრით (დრამა, ტრაგედია, კომედია და სხვ. ფორმებში).

3. პიესები შეიძლება დაიწეროს როგორც პროფესიულ. თეატრისთვის, ისე აგრეთვე სამაღნერო თეატრებისთვის, მოზარდ მაყურებელთა თეატრებისთვის, ისე აგრეთვე სპორტიონ და აღსოფლო კლუბებისთვის.

4. კონკურსზე წარდგენილ უნდა იქნას მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შემდეგ დაწერილი პიესები. რომლებიც არსებობ ან ყოფილა შესრულებული და დაბეჭდილი.

5. პიესები წარდგენილ უნდა იქნას ორ ეგზემპლიარად დაბეჭდილი ან ხელით დაწერილი სუფთად და გასაგებად ავტორის ლეგიზით დაბეჭდილ კონვერტში.

6. პიესების წარდგენის უკანასკნელი ვადა 1933 წლის 10 ნოემბერი.

7. პიესები უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართით: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 31 განსახ. კომის. ხელოვნებათა სექტორი. საკონკურსო კომისიის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ვ. ბოკუჩავას.

ჟიურის თავმჯდომარე კ. ლრაბველიძე
პასუხისმგებელი მდივანი ვ. ბოკუჩავა

ხელოვნება

დამთავრდა რევოლიუციური თეატრების საერთაშორისო ოლიმპიადა

მოსკოვი, 1 ივნისი. რევოლიუციური თეატრების საერთაშორისო ოლიმპიადა მთავრდა. 27 მაისს, დღისით ჩატარდა უკანასკნელი დაგალაურება. რევოლიუციის თეატრში მოსკოვის მუშათა ახალგაზრდობის ცენტრალურმა თეატრმა დასდგა თავისი წარმოდგენა—„ჩვენი ქვეყნის ჭალი შვილები“.

საღამოს მოხდა ოლიმპიადის საზეიმო დახურვა.

ჩეხო-სლოვაკიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და სხვა დელეგაციებმა შეშოიტანეს წერილობითი განცხადება გადგზავნის მისალმება სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტს —ამხ. სტალინს და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს. შემდეგ მიეცემოდა ოქმი დასკვნა. რომელშიაც შეჯამებულია ოლიმპიადის მსვლელობა.

◄— დამთავრდა საქ. საბჭოთა მხატვრების ვიქტორიის რაიკომი 3 ივნისს საღამოს 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში იწვევს კულტ-პრპ.-ორგანიზატორების რაიონულ კონფერენციას. დღის წესრიგი: 1932-33 წლის შედეგები და ზაფხულის პერიოდის პარტმუშაობის შედეგები და ზაფხულის პერიოდის პარტმუშაობის ამოცანები.

ამინდის მიმოხილვა საქართველოში

1 ივნისის 7 საათიდან, 2 ივნისის დილის 7 საათამდე

აღმოსავლეთ საქართველოში: დღისით ყველგან იდგა მშრალი ამინდი. დილით მცირე, ხოლო საღამოთი მნიშვნელოვანი ოდერთუბლულობით.

ღამით ყველგან გაავდარა. ნალექების მნიშვნელოვანი რაოდენობა აღინიშნულია ბათომისა და სოხუმის რაიონებში (5—6 მმ-მდე) დანარჩენ რაიონებში 1-დან 2 მმ-დე. ჰაერიდა სუსტი ქარი. ტემპერატურა დღისით +17°-დან (ხულო) +23°-მდე, სამტრეფიდა), ღამით +11°-დან (წიფა) +16°-დე (ჭუთაისი).

დასავლეთ საქართველოში: ყველგან მოღრუბლული და წვიმიანი ამინდი ზოგან ელვებით (გურულაანში) გუდაურის მიდამოებში ღამით მოთოვა. თოვლის საბურველის სისქე 1 სანტ. ნალექების მნიშვნელოვანი რაოდენობა აღინიშნულია გუდაურში (17 მმ.) დანარჩენ რაიონებში 1-დან 9 მმ-დე. ჰაერის სუსტი ქარი. ტემპერატურა დღისით +6° (გუდაურში) +20°-მდე (გორი, თბილისი, ლაგოდეხი), ღამით +5°-დან (ლიხვანი), +12°-მდე (გორი, თბილისი. ჟინარასი, და ახალციხე).

ამიერ-კავკასიის მდინარეთა დინის მდგომარეობა 2 ივნისისათვის. დღეისათვის ამიერ-კავკასიაში მდინარეებზე აღნიშნული ჰიდროპოსტებიდან მცირე დაწევა. მდ. მტკვრის დონე თბილისთან 2 ივნისს 13 სმ-თი უდრიდა 134 სანტიმეტრს.

ა.-კ. ჰ.მ.ს. ამინდის ინსტიტუტი

ქრონიკა

კურორტოლოგიური სექცია

საქართველოს ექიმთა საზოგადოების 25 მაისს დაამტკიცა „კურორტოლოგიური სექცია“. 11 ივნისს საღ. 8 ხანგარ საათზე. ტუბინსტიტუტის შენობაში (მელიქიშვილის 16) შესდგება პირველი სხდომა მოხსენებებით: 1. დოცენტი ი. კოშოაშვილი—სამეცნიერო მუშაობის გეგმა 1933 წელს საქართველოს კურორტებზე. 2. მ. ტატიშვილი—ბორჯომის ეკატერინის წყაროს წყლის ზედაპირზე და ფორიზე. და მათის ქლორინებზე.

◄— გამოფენა საქ. საბჭოთა მხატვრების ვერმირა 10 ივნისის ხონის თავის მორიგ გამოფენას: „1-ლ ხუთწლედი მხატვრობაში“. მხატვრებს ვისაც სურს გამოფენაში მონაწილეობის მიღება, ეცნობონ უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 5 ივნისისა ქავშირის შენობაში (რუსთაველის 10).

◄— დისპუტი. 3 ივნისს, საღამოს 8 საათზე ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში (ლერმონტოვის პრ. № 139) ლექციას კითხულობს ასოც. პროფ. ი. ბაგრატიონი-მუსხელიშვილი თემაზე: „ტროპიკული მალარიის ეპიდემიოლოგია“. დისპუტს ესწრებიან ტროპიკული სნეულებათა ინსტიტუტის, ტროპიკული სნეულებათა კლინიკის და ტროპიკული სნეულებათა ლაბორატორიის თანამშრომლები.

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი 3 ივნისს საღამოს 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში იწვევს **კულტ-პრპ.-ორგანიზატორების რაიონულ კონფერენციას** ხუთწლედის მდივნებთან ერთად. დღის წესრიგი: 1932-33 წლის შედეგები და ზაფხულის პერიოდის პარტმუშაობის ამოცანები.

ოფიციალური განკარგულება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს „სხინვლის სამაზრთლის საქვთა ძველ-ფლებარეობის თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების შესწორების შეტანის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ციფრები: „206—211“ შეცვლილ იქნეს ციფრებად: „206—210 210¹—21“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
შ. მახარაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ.
ა. ჟორჟიკაშვილი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. ჟღენტი

1933 წ. აპრილის 9
ტფილისი.

ხაჯკინმრეწვის კინო-თეატრები:

დამკვრელი 9, 11.	I სერია მის-ფენდ პროგ. გარეშე სკმ № 11
ეთერი 9, 11	სახლეარგარეთული ფილმი 11 ეშმაკი პრ. გარ.—სკმ. № 3.
ტემპი (ყ. დარბაზი) 9, 11	მხატვრული ფილმი ოქრო შესხვედრა პროგ. გარ. საგუშაგოზე № 4
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	უკანასკ. ტფილისში კაინი და არტემი პროგ. გარ. ხმოვანი სკმ. № 4
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 10-30	I სერია კინო-რომანისა მის-ფენდ პროგ. გარეშე—ს. კ. ო. № 11
ლენინგრადის 7, 8-45, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი სიცოცხლე პროგრამის გარეშე სკმ. № 9 ხმოვანი
ეპარტაკი 6-30, 8-30, 10-30	სათავგადასავალო ფილმი ფითელი ეშმაკუნები
საბავშო კინო	საბავშო ფილმი ვანკა და შურის მაძიებელი
ჯგუნიერება ტ ტეხნიკა	ეთნოგრაფ ფილმი. მონღოლია

სარეწაო საწარმოო ხე-ტყის დამუშავებელი არტელი

„ხე-ტყის დამზადება“-ს გამგეობა ამით აცნობებს. რომ თანახმად წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, მოხდა

არტელის რეორგანიზაცია

დაიყო შემდეგ სამ არტელად:

„ჯუმკოოპტყე“ ჯუმათი
„პარკოოპტყე“ ლობულეთი
„ტყესარეწტყე“ ტფილისი.

თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს „ხე-ტყის დამზადება“-სადმი, მიმართეთ არტელის გამგეობას საქსარეწტყეო არტელის კავშირში (ოთახი № 12) დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ორი კვირის ვადაში.

686 **გაგეთება**

დამწუხრებული მშობლები: ანა, გიორგი, და ელენე, ძმა მიშა ჭყონები, საშა ერქომაიშვილი ცოლ-შვილით იუწყებიან, რომ 3 ივნისს 6-ბან. ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

შუშუ ჭყონიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 693

საქართველოს საფეიქრო ტრესტის სამმართველო მწუხარებით იუწყება, ჭუთაისის მაუდის ფაბრიკის ძველი საუკეთესო დამკვრელი მუშაკის ამბ.

გრიშა ლეჟავნაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ქუთაისში. 698

დამწუხრებული ქმარი პეტრე, დედა მარიამი, მიხო და თამარა, ბაბალე, ნიკიტა, ბიჭიკო, გენო, ვახტანგი იუწყებიან, რომ

ანნა ხარიტონის ასულ ჯოხიას

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 4 ივნისს 6 საათზე, ახალციხის შეს. № 3. 687

დამტხრ, ეკატერინე, მეილებით: გიორგი, მარო, დედა ლისიანი გოგუები, ელენე შვილებით: ლადიკო, კატო, რძალი ოლია ტუღუშები, სიძე ვალიკო ჯაიანა დასტირიან უდროოდ დაკარგულ სიძეს

გერასიმე ნიკოლ. ძე ჩაგელეიშვილს

682

საქ. სახინჟ. საალმშენებლო ინსტიტუტი აცნობებს,

რომ დღეს, 3 ივნისს საღამოს 8 საათ. ინსტიტუტის დარბაზში შესდგება

პროუმაორ-მასწავლებლების და სტუდენტთა

საერთო კრება

დღის წესრიგი:

ინსტიტუტის მომავალ საგაზაფხულო საგამოცდო სესიის ჩატარების საკითხი.

704 **დირექცია.**

„საჭურტრესტის“-ს საბუღალტრო-სამშენებლო ჭარხნის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ჭარხნის თანამშრომლის

ლოგერა გიგოს-ძე თვალჭრელიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან 3 ივნისს 5 საათზე დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე 690

უახლოესი მეგობრები: კოლია ლაბაძე, სიმონ ბებიაშვილი, გიორგი გამცემლიძე, გოგია დაშნიანი, შალვა და ალექსანდრე ჩუბინიძეები, ვალოდია კალანდაძე იუწყებიან, რომ დაუვიწყარი

ტასიკო კვინიკაძის

ხსოვნის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 6 ივნისს 700

ახლო ამხანაგები და მეგობრები: დ. რუხაძე, ნ. ხოფერია, ა. მურღულია, პ. რუხაძე მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ამხანაგის

გრიშა ლეჟავნაძის

გარდაცვალების. 698

თავზარდაცემული დედა ელენა, მამა ნოე, ძმა ავთანდილი, დეტი: ვენერა, ტატიანა და ნათელა, ბაბუა ონისიმე, ბებია ვასილი იუწყებიან

გიგიკო გოგოლაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 3 აპრილს ს. ზემოხეთში. 691

ღრმად დამწუხრებული დედა ძაძუნია ჭილრით სამსონი, შვილებით: ნათელა და სიმონიკა ხოშტარიები ვაუწყებენ სახოგადოებას ძვირფას და საყვარელ

სოსინა მეჭავიას

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა 3 ივნისს, ს. ბახვში. 681

ზაჰესის მე-II რიგის დამკვრელ მუშაკებს

სასრაფოდ ესაჭიროება

დურგლები

პირობების გასაგებად მიმართეთ ზაჰესის მე-II რიგის კანტორას ტფილისში, კორღანოვის ქ. 18. 425

დიდედა ბაბუა, ბიძები: ბათლომე, დიმიტრი, ვახტანგი, დეიდები: ელიჩქა ჯუმუტაშვილები, ნინო, ლადო, თამარი, ელენე გუნიები იუწყებიან, რომ 3 ივნისს 6 სს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

კოტე თოიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 692

გულმოკლული მშობლები ანიკო და გალაქტიონი, და თამარა, ძმა პეტრე იუწყებიან რომ 6 ივნისს 4 საათზე ზესტაფონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ტასო გალაძეძ.-ას. ქვინიკაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 694

დამწუხრებული მშობლები: მაერა, აკაკი, ძმები: კუკური, ბაქური, გოგი მგალობლიშვილები, ბებია ოლინკა, ბიძა ალექსანდრე ცოლ-შვილით, დეიდები: თამარა, შუშანა, ქუნია ქმარ-შვილით იუწყებიან

კოკის

დაკარგვას. დაკრძალვა ბათომში 4 ივნისს ცხაკაიას ქ. № 53. 701.

დამწუხრებული მშობლები: ფადია და ტარასი, და ნინა, ძმები: ალექსანდრე, ვანიჩქა, რძლები: მარო, გალინა, შვილებით: თინა, გოგონა, შალიკო, ნარგიზა იუწყებიან უსაყვარლეს

ლელიკო იობიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ჭუთაისში 4 ივნისს. 707

დედა სოფიო, ძმები: ვალოდია და დათიკო ოჯახობით, ცოლ-ქმრმა იასონ ტყემლაშვილი ოჯახობით, უსაზღვროდ დასტირიან ძვირფასს

ლოგერა გიგოს-ძე თვალჭრელიძის

დაკარგვას. გამოსვენება 3 ივნისს 5 ს. ორჯონიკიძის ქ. № 106. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 699

გაუბედურებული მეუღლე ლილი შვილი კარლოთი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ უსაყვარლესი

თედორე ივანეს-ძე გიგინეიშვილის

უდროოდ დაკარგვას. ვამოსვენება დღეს, საღამოს 6 საათზე ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტიდან, პლეხანოვის პროსპ. 139

გ. ს. ჯ. პედაგოგიური სადგურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ნინო ფრანგიშვილს მისი დის

ეკატერინეს გახტაძე-ედიშერაშვილის

გარდაცვალების გამო. 702

ქ. დვალი, ქ. ბარათაშვილი, დ. ბერიშვილი, ა. ლანდია, ო. ბაქრაძე, ლ. ბრეგვაძე, რ. ქავჯაია, გ. ფერაძე, ელ. გიორგაძე და ლ. ევნიძე ვაუწყებთ სახოგადოებას ამბ. კეკო ერისთავის დედის

ანნას

გარდაცვალებას. 673

მწუხარებაში მყოფი მეგობრები: ქეთო ბოკერია, ოლია ალიმბარაშვილი, ნინო ბილაშვილი, კაკუნია კობალაძე, გოგი მემბარიაშვილი და გაგლი კენკაძე დასტირიან სიყრმის მეგობარ

რიტუ მდივანის

უდროოდ დაკარგვას. 649

ღრმათ დამწუხრებულნი: ბებია ეკა, ფადია, ლეონტი, ვანო, ალიონა, სერიოჟა, თამარა, სულიკო, მარუსია, მარო, ოლია კალანდაძეები და პლატონ გოგორიშვილი იუწყებიან

ალექსანდრე სევერიანეს-ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას 696

უახლოესი მეგობრები: ნინო გორდელაძე, მარუსია ყენია, თამარა კალანდაძე, ლიუბა ჩიქობავა, ნადეჟდა ქავთარაძე, ფატი ცინცაძე ვაუწყებთ ნაცნობებს, რომ დავკარგეთ საყვარული მეგობარი

სოფინა მეჭავია

დასაფლავება 3 ივნისს ს. ბაბუში. 697

კოწია, ნინა შვილებით: ვალოდია, ნინა, ეთერი და მატრონა კუბნეცოვა ღრმაზე მწუხარებას გამოსთქვამთ ძვირფასი მეგობრის

გერასიმე ჩაგელეიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ახალციხის სასაფლაოზე 3 ივნისს 5 ს. 682

ქ. გაგუა, გ. ნოზაძე და ნ. ჩიგოგიძე თავიანთი ოჯახობით ცხარე ცრემლით დასტირიან ჩვენი მეგობრის საშა მდივნის შვილის

რიტუს

უდროოდ გარდაცვალებას. 672

სახ. უნივერსიტეტის პედოლოგიური სექციის მესამე კურსის სტუდენტები მწუხარებით იუწყებიან რომ 3 ივნისს 6 ნახ ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ამავე კურსის სტუდენტის, დაუვიწყარი მეგობრის

შუშიკო ჭყონიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 657

უახლოესი მეგობრები: ბიძია ამბ. შუკელი, ვორტიკა ჯაფარიძე, შალვა ჭუმბურიძე, ა. ჭანტურაია, ნ. მესხი, ი. წერეთელი, ი. ბლუაშვილი, გ. ჩიქოვანი, ვოდიშუა, ლ. ძამოვი იუწყებიან საყვარელ ამხანაგის ვალიკო ლოლაძის მამის

ისმაილ ლოლაძის

გარდაცვალებას. 667

თავზარდაცემული დედა ასიკეთი, ძმა ლავრენტი, რძლები მინადორა, ელენე, ძმისშვილები პოლიკარპე, ვალერიანი ცოლშვილით, აჭესენტი, ქსენია, მარგალიტა იუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი სიმამის

თეოფილე (თედორე) გიგინეიშვილის

დაკარგვას. 684

უახლოესი მეგობრები: გრიშა სანდიერაძე, ვახტანგ ხადური, იოსებ ჩიტაშვილი და გიორ